



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
ბენერალური დირექტორის

ბრძანება № 05

ქ. თბილისი

15 იანვარი 2018წ.

მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2017 წლის კონკურსის
შედეგად გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 5 ოქტომბრის N130/ნ დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-8 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ და „ჟ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის სამსახურებრივი ბარათის (N21933, 12.01.2018) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების 2017 წლის კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართი N1-ს შესაბამისად;
2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტს დანართი ერთით გათვალისწინებულ პროექტის წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2018 წლის 23 თებერვლისა;
3. გამარჯვებული პროექტების ავტორებმა 2018 წლის 9 თებერვლის ჩათვლით ფონდში უნდა წარმოადგინონ:
 - ა) ცნობა სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ;
 - ბ) ცნობა ბნკიდან რომ ანგარიშს არ დაერიცხება სარგებელი;
 - გ) საბანკო რეკვიზიტები;
4. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ნინო გაჩეჩილაძე

სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

**მაგისტრანტთა სასწავლო - კვლევითი პროექტების გრანტით დაფინანსების
 2017 წლის შედეგები**

გამარჯვებული პროექტების სია

| N | პროექტის შიფრი | პროექტის სახელწოდება | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება |
|---|-------------------|---|--|
| 1 | MR2017_1.1_107 | ალგებრული სტრუქტურები თანამედროვე კრიპტოგრაფიაში | საქართველოს უნივერსიტეტი |
| 2 | MR2017_1.4_18 | მძიმე მეტალების-Zn, Cu, Pb, Mn, Co იონმიმოცვლითი სორბციის შესწავლა მოდიფიცირებულ მორდენიტზე | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| 3 | MR2017_1.4_89 | ალტერნატიული სტრუქტურის მქონე სულფირებული პოლისულფონ sPSO2-360-ის სინთეზი და კვლევა | საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი |
| 4 | MR2017_1.5_77 | სეისმური მეწყერების საშიშროების კვლევა საქართველოს ტერიტორიაზე GIS ტექნოლოგიების გამოყენებით | ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| 5 | MR2017_2.10_1 | მრავალშრიანი აქტიური ფენებით მემრისტორის მიღება და კვლევა. | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| 6 | MR2017_5.1_93 | საგანმანათლებლო გარემოს გავლენა აუტიზმის სპექტრის მქონე მოსწავლეთა სწავლების ეფექტურობაზე | ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| 7 | MR2017_5.2_112 | სასურსათო უსაფრთხოება და მდგრადი სასურსათო უზრუნველყოფის გამოწვევები საქართველოში | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| 8 | MR2017_5.3_37 | უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორ-მასწავლებლების კვლევითი პროდუქტიულობა საქართველოში | ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| 9 | MR2017_5.2_116 | ურთიერთდამოკიდებულება მაკროეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის ინდიკატორებს შორის: მაკრო-უკუკავშირის ეფექტი | ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ISET) |

| | | | |
|----|----------------|--|---|
| 10 | MR2017_6.1_20 | სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი ხელოვნურად დეფორმირებული ადრეული შუა საუკუნეების თავის ქალების წარმომავლობა და ისტორიული მნიშვნელობა | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| 11 | MR2017_6.5_114 | ბეჭოს თემის ტრადიციული საცხოვრისების რეაბილიტაცია/კონსერვაციის საკითხები: პრობლემები, გამოწვევები და პერსპექტივები | თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია |
| 12 | MR2017_7.1_4 | ძველი და ახალი ქვევრების მინერალური და პეტროგრაფიული შედგენილობისა და დამზადების ტექნოლოგიის შესწავლა | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი |
| 13 | MR2017_7.5_58 | ურბანულ სივრცეში იდეოლოგიური სიმბოლოების გამოყენება (საბჭოთა მოზაიკის მაგალითზე საქართველოში) | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| 14 | MR2017_1.5_12 | მდინარის ჰიდროლოგიური რეჟიმისა და დატბორვის არელების შეფასება თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით (მდ.გუჯარეთისწყლის მაგალითზე) | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| 15 | MR2017_4.3_109 | საქართველოში შინაურ და გარეულ ცხოველებში გავრცელებული ცოფის ვირუსის გენეტიკური მრავალფეროვნების შესწავლა | ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| 16 | MR2017_1.6_16 | ბიოფილმის ფორმირების მარეგულირებელი გენების ექსპრესიის ცვლილებების შესწავლა ანტიბიოტიკების თანაობისას β-ლაქტამაზის მაპროდუცირებელი E.coli-ში | ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| 17 | MR2017_1.5_7 | ქალაქ თბილისის შემოვლითი რკინიგზის ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების შეფასება და ანალიზი | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი |
| 18 | MR2017_3.2_47 | γδ T უჯრედების როლის შეფასება სასუნთქი გზების ალერგიული დაავადებების იმუნოპათოგენეზში | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| 19 | MR2017_6.1_65 | ლაზიკის ომი: ლანდშაფტი, სივრცე, რესურსები | ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| 20 | MR2017_7.6_87 | პერფორმატივები ქართულ სამეცნიერო ენაში | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| 21 | MR2017_7.6_33 | პაპობა და საქართველო ანტიოსმალური კოალიციის მომზადების კონტექსტში (XV ს. II ნახევარი) | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |

| | | | |
|----|----------------|--|---|
| 22 | MR2017_2.8_22 | ფრინველის გენმოდიფიცირებულ საკვებში, რეკომბინანტული დნმ-ის რაოდენობის განსაზღვრა და მისი დეგრადაციის ხარისხის შესწავლა ბროილერის საჭმლის მომწელებელ სისტემაში | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| 23 | MR2017_3.1_43 | ქრონიკული ლიმფოციტური ლეიკემიის დროს CD180 თოლლ მსგავსი რეცეპტორის ექსპრესიის და ქრომოსომული აბერაციების კორელაციის პროგნოსტიკული მნიშვნელობა | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| 24 | MR2017_6.5_101 | ივდითის წიგნის ძველი ქართული თარგმანის წარმომავლობა (ტექსტუალური ტიპი და მისი მიმართება უცხოენოვან წყაროებთან) | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| 25 | MR2017_3.3_40 | Streptococcus pyogenes-ით გამოწვეული ზედა სასუნთქი გზების ინფექციების გავრცელება და ანტიბიოტიკორეზისტენტული ფორმების გამოვლენა 1-6 წლამდე ასაკის ბავშვთა პოპულაციაში | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| 26 | MR2017_4.1_11 | ველური ვაზის ფორმების საკოლექციო შესწავლა ჯილაურას ექსპერიმენტულ ბაზაზე | კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი |
| 27 | MR2017_4.4_96 | შპს „მარშე“-სთვის საკვებდანამატების გარეშე, ბუნებრივი სახელებლებით დამზადებული საბავშვო სოსისის რეცეპტურის შემუშავება, მისი ორგანოლეპტიკური მაჩვენებლების, მარკეტინგული და კვებითი ღირებულების შეფასება, შენახვის ვადის განსაზღვრა | საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი |
| 28 | MR2017_4.1_113 | არბუსკულურ-მიკორიზული სოკოების გავლენა ხორბლის ზოგიერთი ქართული გენოტიპის ფოსფორის შეთვისების უნარზე | საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი |
| 29 | MR2017_2.8_95 | საქართველოს რეგიონებიდან გამოყოფილი ბაზიდიალური სოკოების ეკოლოგიური პოტენციალის შეფასება ტოქსიკური ნარჩენებით დაბინძურებული გარემოს ბიორემედიაციაში | საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი |
| 30 | MR2017_2.9_67 | „ნედლი საქონლის ხორცის, ცივად შენახვის ვადის გახანგრძლივების შესწავლა ორგანული მჟავების ზემოქმედებით | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი |